



ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკა
ყოველთვიური მიმოხილვა
25 მარტი, 2016

ტყიბულში 13.2 მგვტ დადგმული სიმძლავრის ქვანახშირზე მომუშავე თბოსადგური თებერვალში სატესტო რეჟიმში ამუშავდა. ტყიბულის ქვანახშირზე მომუშავე თბოსადგურს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი (GIG) ფლობს და ოპერირებს. თბოსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების ხელშეკრულებას GIG-მ მთავრობასთან 2015 წლის ნოემბერში მოაწერა ხელი და ესკო-სთან ელექტროენერგიის შემსყიდველ კვალიფიციურ საწარმოდაც დარეგისტრირდა. სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ტყიბულის თბოსადგური ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის მანძილზე, სექტემბრიდან აპრილის ჩათვლით გამომუშავებული ელექტროენერგიის 100%-ს ესკოზე გაყიდის. ელექტროენერგიის გასაყიდი ფასი კვტ/სთ-ზე 5.9 ცენტით განისაზღვრა და 2017 წლიდან დაწყებული ყოველწლიურად 2%-ით გაიზარდება. სხვა თბოსადგურებისგან განსხვავებით, ტყიბულის თბოსადგურს გარანტირებული სიმძლავრის წყაროს სტატუსი ჯერჯერობით არ აქვს მინიჭებული. ცნობილია, რომ თბოსადგური ექსკლუზიურად საქართველოში მოპოვებულ ქვანახშირზე იმუშავებს.

ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები

თებერვალში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში*	5.5 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
თებერვალში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში*	3.7 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
თებერვალში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი	ექსპორტი არ ფიქსირდება
თებერვალში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	4.5 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
შიდა მოხმარების ზრდა თებერვალში, კვტ/სთ	3.6 % წ/წ
ელექტროენერგიის ექსპორტის ზრდა თებერვალში, კვტ/სთ	ექსპორტი არ ფიქსირდება
თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ზრდა თებერვალში, კვტ/სთ	ექსპორტი არ ფიქსირდება

* საშუალო გაცვლითი კურსი თებერვალში GEL/US\$ = 2.4829; TRY/US\$ = 2.9407

საქართველოს მთავრობასა და სოკარ-ს შორის 2016 წლის 4 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, საქართველო აზერბაიჯანიდან დამატებით 500 მლნ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს. შეთანხმების საფუძველზე შემცირდება აზერბაიჯანიდან მიღებული სოციალური გაზის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებსა და ელექტროენერგიის მწარმოებლებზე გასაყიდი) ფასიც, თუმცა უცნობია რამდენად. სოკარმა ასევე მზადყოფნა გამოთქვა 35-40 აშშ დოლარით შეამციროს გაზგასამართი სადგურების მიერ შესასყიდი ბუნებრივი აირის საფასურიც.

ევროკომისიამ საბერძნეთსა და ტრანს-ადრიატიკულ გაზსადენს (TAP) შორის დადებული შეთანხმება დაამტკიცა. ევროკომისიის მიერ აღნიშნული შეთანხმების დამტკიცება ბუნებრივი აირის სამხრეთის დერეფნის (SGC) მშენებლობის დასრულებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. აღნიშნულ პროექტში საქართველო სტრატეგიული პარტნიორია, რამდენადაც სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (SCP) გაფართოება იმ სატრანზიტო დერეფნის ნაწილია, რომლის საშუალებითაც აზერბაიჯანული ბუნებრივი აირი საქართველოს გავლით თურქეთსა და ევროკავშირს უნდა მიეწოდოს. თურქეთის ტერიტორიაზე ბუნებრივი აირის მიწოდება ტრანს-ანატოლიური გაზსადენის (TANAP) საშუალებით მოხდება, TANAP-იდან კი ბუნებრივი აირი უკვე TAP-ის გავლით საბერძნეთს, ალბანეთსა და იტალიას მიეწოდება. შემდეგი 3 წლის მანძილზე, სამხრეთ კავკასიის გაფართოების (SCPX) პროექტის ფარგლებში საქართველო ინვესტიციის სახით 2 მლრდ აშშ დოლარს მიიღებს, პროექტის დასრულების შემდეგ კი შედგება ფასად შეისყიდის ბუნებრივი აირის დამატებით მოცულობებს.

სემეკი გამანაწილებელი ლიცენზიანტების მიერ ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხის კონტროლის მექანიზმს სრული დატვირთვით აამუშავებს. ხარისხის კონტროლისთვის მარეგულირებელი ელექტრომომარაგების საიმიდოების იმ მაჩვენებლებს გამოიყენებს, რომლებიც ფართოდ არის დანერგილი ევროკავშირის ქვეყნებში - ელექტრომომარაგების გამორთვების საშუალო ხანგრძლივობა, ელექტრომომარაგების გამორთვების საშუალო სიხშირე და მიწოდებული ელექტროენერგიის რაოდენობა. ამასთანავე, გამანაწილებელი კომპანიები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ მომსახურების სტანდარტებს, დაჯარიმდებიან. წყალმომარაგების კომპანიებს სემეკმა ასევე დაავალა წყალმომარაგების სისტემის განვითარების სამწლიანი გეგმის წარდგენა.

ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი

ელექტროენერგიის მოხმარება საქართველოში 2016 წლის თებერვალში წლიურად 3.6%-ით არის გაზრდილი. ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა ძირითადად თბილისსა და მის შემოგარენზე იყო კონცენტრირებული, რაც თელავის მოხმარების 14.3%-იან ზრდაში აისახა. თელავის მოხმარება გამანაწილებელი ლიცენზიანტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის 38.8%-ს შეადგენს. რეგიონების (კახეთის გარდა) მიერ მოხმარებული ელექტროენერგია (ენერგო-პრო ჯორჯია) მხოლოდ 0.6%-ით არის გაზრდილი. ენერგო-პროს მიერ მოხმარებულმა ელექტროენერგიამ 2016 წლის თებერვალში გადაცემის ლიცენზიანტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის 56.8% შეადგინა. კვალიფიციური საწარმოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია კვლავ მცირდება (-13.8% წ/წ თებერვალში), მაგრამ შემცირების ტემპი წინა თვეებთან შედარებით მნიშვნელოვნად შენელებულია. მცირდება კვალიფიციური საწარმოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის წილიც ქვეყნის მოხმარებაში. 2016 წლის თებერვალში კვალიფიციური საწარმოების მიერ მოხმარებულმა ელექტროენერგიამ ქვეყნის მოხმარების 10.2% შეადგინა, მაშინ როდესაც 2015 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 12.3%-ს უტოლდებოდა. კვალიფიციური საწარმოების მიერ მოხმარების შემცირების მთავარ მიზეზად ჯორჯიან მანგანუმი (GM) რჩება. GM-ის მოხმარება 2016 წლის თებერვალში 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 16.2%-ით არის შემცირებული. კვალიფიციური საწარმოების მოხმარების წილის შემცირებაში კიდევ ერთი ფაქტორი რუსთავის წყლის (RWC) კვალიფიციური საწარმოს სტატუსის გაუქმება იყო. ნაცვლად კვალიფიციური საწარმოს სტატუსით გაჭრობისა, კომპანიას აწყადად ენერგო-პრო ჯორჯია ემსახურება. თუმცა, აღსანიშნავია,

ნინო პაპავა

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693

თამარ ქურდაძე


ანალიტიკოსი | tamarkurdadze@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება დოკუმენტის ბოლო გვერდზე.




რომ RWC-ის მოხმარება კვალიფიციური საწარმოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის 3%-ზე ნაკლები იყო. თებერვალში ენგურის წყალსაცავში წყლის დონის კლების შედეგად, ელექტროენერგიის დეფიციტი შეიქმნა აფხაზეთის რეგიონში; მოსალოდნელია რომ დეფიციტი მარტშიც გაგრძელდება. ენერგეტიკის სამინისტროს გადაწყვეტილებით, აღნიშნული პრობლემა მოკლევადიან პერიოდში რუსეთიდან ელექტროენერგიის დამატებითი მოცულობის (29.2 გვტ/სთ) იმპორტირებით გადაიჭრა. თუმცა აფხაზეთის მუდმივად მზარდი მოთხოვნის ფონზე, საჭირო ხდება რეგიონის ელექტრომომარაგების საკითხის უფრო გრძელვადიანი გადაწყვეტის მოძებნა. ამ ფაქტს ხაზი გაუსვა ენერგეტიკის მინისტრმა.

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი



წყარო: ესკო


გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარება, აფხაზეთის რეგიონი



წყარო: ესკო


საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობამ, თბოსადგურების გამომუშავების შემცირების ფონზე, 2016 წლის თებერვალში 4%-ით იკლო. თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია წ/წ 21.3%-ით შემცირდა. მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი თბილისრესის გამომუშავების 93.6%-იანი შემცირება გახდა. აღსანიშნავია, რომ თბილისრესმა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 53.2% შეადგინა, 2016 წლის თებერვალში კი ეს მაჩვენებელი 4.3% იყო. თბილისრესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი კლების კომპენსირება ნაწილობრივ ახლად ამუშავებულმა გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოსადგურმა შეძლო. გარდაბნის გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ თბოსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის 40.4% შეადგინა. შემცირებული გამომუშავების ფონზე, იმპორტირებული ელექტროენერგიის წილი მომხმარებელზე მიწოდებულ ელექტროენერგიაში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თითქმის გაორმაგდა (+91.8% წ/წ). იმპორტირებული ელექტროენერგიის მკვეთრი ზრდა ნაწილობრივ აფხაზეთის რეგიონში არსებულმა ელექტროენერგიის დეფიციტმა გამოიწვია. მარეგულირებელი ჰეს-ების, ენგურისა და ვარდნილის, გამომუშავება მცირე ნალექის გამო წ/წ 8.9%-ით არის შემცირებული, სეზონური და დერეგულირებელი ჰეს-ების გამომუშავება და მათი წილი ჰეს-ების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიაში კი გაზრდილია.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ/სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ/სთ




წყარო: ესკო



ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში


საქართველოში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი 2016 წლის თებერვალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 25.3%-ით შემცირდა და კვტ/სთ-ზე 5.5 აშშ ცენტი შეადგინა. ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთშიც შემცირებულია და კვტ/სთ-ზე 3.7 აშშ ცენტი (-37.3% წ/წ) შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საბალანსო ელექტროენერგია არის ელექტროენერგიის ის ნაწილი, რომლითაც ესკო ვაჭრობს. 2016 წლის თებერვალში ადგილობრივად გამოშვებული ელექტროენერგიის მხოლოდ 7.5% იყო ესკო-ს მიერ შესყიდული, დანარჩენი გარიგებები პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე მოხდა. ესკოს მიერ შესყიდული ელექტროენერგიის 60.9% იმპორტირებული ელექტროენერგია იყო. შესაბამისად, საბალანსო ელექტროენერგიის ფასზე მნიშვნელოვნად აისახა იმპორტირებული ელექტროენერგიის ფასი. 2016 წლის თებერვალში იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი წ/წ 31.7%-ით შემცირდა და კვტ/სთ-ზე 4.5 აშშ ცენტი შეადგინა, გასულ წლებში კი კვტ/სთ-ზე 6 აშშ ცენტზე მეტს შეადგენდა. იმპორტირებული ელექტროენერგიის შედარებით დაბალი ფასი, აფხაზეთის რეგიონის დეფიციტის შესავსებად რუსეთიდან შემოტანილ დამატებით მოცულობებზე მნიშვნელოვნად შეღავათიანი ფასი იყო. იმპორტირებული ელექტროენერგიის 92.0% რუსეთიდან შემოვიდა, დანარჩენი აზერბაიჯანიდან. 2016 წლის თებერვალში საქართველოდან ელექტროენერგიის ექსპორტი არ განხორციელებულა.

გრაფიკი 5: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 6: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე




წყარო: ესკო, საქსტატი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ენერგეტიკაში

წინასწარი მონაცემებით, 2015 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ენერგოსექტორში 89.9 მლნ აშშ დოლარი და ჯამური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 6.7% შეადგინა. ინვესტიციების ერთერთი მნიშვნელოვანი მიმღები აჭარის რეგიონში მშენებარე შუახევი ჰეს-ი იყო, რომელიც ნორვეგიული Clean Energy-სა და ინდური Tata Power-ის ერთობლივი პროექტია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმღები პროექტების ტოპ ათეულში შუახევი ჰეს-ის მშენებელ კომპანიასთან (აჭარისწყალი ჯორჯია) ერთად ნენსკრა ჰიდროგ მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს ენერგოსექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წ/წ 52.7%-ით არის შემცირებული, ინვესტორების ინტერესი სექტორის მიმართ არ განელებულა. 2016 წლის თებერვლის მონაცემებით, 26 ჰეს-ის პროექტი 1,869 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრით მშენებლობის ან ლიცენზირების სხვადასხვა ეტაპზეა. ამ პროექტების ჯამური საინვესტიციო ღირებულება ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 3.2 მლრდ აშშ დოლარით არის განსაზღვრული. კიდევ 25 ჰეს-ი, 1,075 მგვტ ჯამური დადგმული სიმძლავრით, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა, შემდგომი მშენებლობის უფლებით.

გრაფიკი 7: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ენერგოსექტორში, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი
*წინასწარი მონაცემები



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შთაბეჭდილება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოყენებისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის გირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანაიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კრძოლი, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, ამკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რამენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაკეთდა რაიმე რწმუნება ან გარანტია, ამკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კითხვარისთვის, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია მისი წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, ამკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი--ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოყენებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მეთდით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoishvili@gt.ge

ეკონომისტი
ალიმ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

უფროსი ასოცირებული ანალიტიკოსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
დავით ნინიკელაშვილი | dninikeshvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დავით ქუტიძე | dkutidze@gt.ge

ანალიტიკოსი
თამარ ქურდაძე | tamarkurdadze@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,
საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge